მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

MDF
მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №4

**29. 04 –05.05.2013**



მონიტორინგი

## მონიტორინგის შედეგები

29 აპრილიდან 6 მაისამდე პერიოდში მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ხშირ შემთხვევებში რთული იყო ზღვარის გავლება ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური ნიშნით დისკრიმინაციას შორის, რადგან მსგავს გამოხატვას რესპონდენტები და გარკვეულ შემთხვევებში ჟურნალისტები ერთიან კონტექსტში მიმართავდნენ და ძირითადად ეს მიდგომა პოლიტიკური დისკურსის ნაწილი იყო;

- სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებთან მიმართებით იყო აქტუალური, არამედ სრულიად დაუსაბუთებელი პარალელების გავლება საგანმანათლებლო საკითხებთან ხდებოდა (გაზეთი “ასავალ-დასავალი”);

გაგრძლება გვ. 2

## კვირის თემა

### სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინტიმური კადრები

კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა სოციალურ ქსელებში უფლებადამცველ გიორგი ფარესიშვილის დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ინტიმური კადრები და შემდგომ განვითარებული მოვლენების გაშუქება იყო.

სოციალურ ქსელებში პირის პირადი ცხოვრების შესახებ კადრების გავრცელება ცალსახად წარმოადგენს როგორც კანონმდებლობის, ასევე ეთიკური ნორმების დარღვევას, თუმცა, მას შემდეგ, რაც ფაქტი შედგა, ისმის კითხვა - თუ რამდენად მიზანშეწონილია, მედიის მხრიდან იმის იდენტიფიცირება, თუ რა ტიპის სექსუალური ურთიერთობის ამსახველი ფარული კადრები გავრცელდა ინტერნეტ-სივრცეში. აღნიშნული თემის დელიკატურობას განსაზღვრავდა ბალანსის პოვნა, ერთის მხრივ, საზოგადოებრივ ინტერესს შორის და მეორე მხრივ, პირის პირადი ცხოვრების დაცვას შორის, რაც ჰომოსექსუალი სცენების

გაგრძლება გვ. 4

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია **MDF** და ის შესაძლოა, არ ასახავდეს **USAID**-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მთავარი თემები


| | |
|---|---|
| სიძულვილის ენა | 4 |
| ეთნიკური ნიშნით დისკრიმი- | 5 |
| რელიგიური ნიშნით | 7 |
| დეპორტირებული | 10 |
| სექსუალური უმცირესობები | 12 |
| სამოქალაქო სექტორი | 15 |


unag საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## მონიტორინგის შედეგები

დასაწყისი გვ. 1

- სიძულვილის ენა ადამიანთა მიმართ როგორც ჟურნალისტების, ასევე რესპონდენტთა მხრიდან მეტწილად განპირობებული იყო ოპონენტთა მიუღებელი მოსაზრებებითა და ქმედებებით და არა ადრესატთა ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური კუთვნილებით და ამ თვალსაზრისით კვლავ გაზეთი “ასავალ-დასავალი” ლიდერობდა;
- დისკრიმინაციის თვალსაზრისით დომინანტური იყო ანტიჩინური განწყობები და ჰომოფობიური შეფასებები;
- რელიგიასთან მიმართებაში გამოიკვეთა როგორც ცრუ რწმენების ტირაჟირების (გაზეთი “კვირის პალიტრა”), ასევე საზოგადოებაში არსებულ ფობიებზე განმარტებების გაკეთების მცდელობები (რუსთავი 2, P.S.);
- კვირის მთავარი თემები ჟურნალისტ გიორგი ფარესიშვილის წინააღმდეგ გამოქვეყნებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები და აბორტის კრიმინალიზაციის თაობაზე პატრიარქის ინიციატივა იყო. პირველი თემა მედიამ დაბალანსებულად გააშუქა, ხოლო მეორე შემთხვევაში არც ერთ მედია საშუალებას არ წარმოუდგენია სხვა რელიგიური კონფესიების მოსაზრება საზოგადოებისთვის აქტუალ თემასთან დაკავშირებით.

## კვირის თემა

### სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინტიმური კადრები

დასაწყისი გვ. 1

შემცველი კადრების გავრცელებაში გამოიხატა და თავად კადრების სამიზნის განცხადებით, ფალსიფიცირებული იყო. ვინაიდან გიორგი ფარესიშვილი საჯაროდ, მათ შორის მედიით, ბრალს სდებდა მაღალი თანამდებობის პირებს, კერძოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მთავარი პროკურორის მოადგილესა და პრემიერის მრჩეველს კორუფციულ გარიგებაში და აცხადებდა, რომ ფალსიფიცირებული კადრების გავრცელება მათი მხრიდან საპასუხო ქმედება იყო, ბუნებრივია, არსებობდა საჯარო ინტერესი - საზოგადოებას სცოდნოდა, თუ რა სახის ფარული კადრების გავრცელებით ცდილობდნენ მის დაშანტაჟებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სატელევიზიო მედიამ ეს თემა მაქსიმალურად დელიკატურად გააშუქა, პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული საპროტესტო აქციის კონტექსტში და ძირითადად თავი აარიდა პირდაპირ იმის იდენტიფიცირებას, რომ გავრცელებული კადრები ჰომოსექსუალურ სცენებს შეიცავდა:

#### კავკასია, დღეს, 4 მაისი

აღნიშნულ თემაზე ყველაზე დაბალანსებული სიუჟეტი ტელეკომპანია *კავკასიამ* მოამზადა. სიუჟეტში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ფარესიშვილის წინააღმდეგ სამი ადამიანის პირადი სქესობრივი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა და არ არის დაკონკრეტებული ამ პირთა სქესი, რაც სექსუალური ურთიერთობის ტიპოლოგიაზე წარმოდგენას შექმნიდა.

კადრების გავრცელების წყარო, ვებ-გვერდი - *kvercxebi.com*, რომელიც გავრცელებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაიბლოკა, სიუჟეტში მხოლოდ ვიზუალურად არის ხილვადი. სიუჟეტი არ შეიცავს ინციდენტის იმ ეპიზოდს, როდესაც რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამოსულ უფლებადამცველებს რამდენიმე მოქალაქე გინებით მიმართავდა და “პედერასტებად” მოიხსენიებდა. გინებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი მხოლოდ სიუჟეტის ავტორის მხრიდან არის აღნიშნული.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029313

#### მე-9 არხი, 3 მაისი

კავკასიისგან განსხვავებით, მე-9 არხის საინფორმაციოში იდენტიფიცირებულია, რომ კადრები, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა ორი მამაკაცის და ერთი ქალის ინტიმურ კავშირს ასახავდა. ამგვარად მიანიშნებდა, რომ ეს კავშირი ჰომოსექსუალურ ხაისათს ატარებდა.

სიუჟეტში, რომელიც პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული აქციის მონაწილეების წინააღმდეგ რამდენიმე მოქა-

## კვირის თემა

**სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინტიმური კადრები**

ლაქის პროტესტს ასახავს, მაქსიმალურად არის დაფარული გინება, გარდა ერთი სინქრონისა, სადაც ერთ-ერთი მოქალაქე აქციის მონაწილის რელიგიური მრწამსით ინტერესდება:

*"ქრისტიანი ხარ? წადი იოანე ოქროპირის მცნება მაინც წაიკითხე. წადი, შენი…"*

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ფრაგმენტი, სადაც პირის სექსუალური ცხოვრების დაცვის უფლების საპირწონედ ქრისტიანობაა მოყვანილი, არც ერთ არხზე არ გასულა. სასურველია, მსგავსი სტერეოტიპების დამკვიდრებას, მედიამ თავი აარიდოს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029299

**იმედი, 4 მაისი**

რელიგიურ თემებთან პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნით გამართული აქციის დაუსაბუთებელ დაკავშირებას ახდენს ტელეკომპანია "იმედის" 8 საათიანი ქრონიკა. გადაცემის წამყვანი აცხადებს, რომ ფარული გადაღებების წინააღმდეგ აქციაზე გამოსულ უფლებადამცველთა მიმართ რამდენიმე მოქალაქის "*პროტესტი აქციის აღდგომის წინა დღეებში გამართვამ გამოიწვია*".



უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კომენტარი სიუჟეტში არც ერთ რესპონდენტს არ გაუკეთებია და ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, იგი არარელევანტური და სპეკულაციური იქნებოდა მთავარ თემასთან მიმართებით, რომელიც ერთის მხრივ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ადამიანის დაშანტაჟებას შეეხებოდა, ვინც კორუფციულ გარიგებებში მაღალი თანამდებობის პირებს ამხელდა.

ქრონიკაში ასევე გავიდა აქციის მონაწილეთა "პედერასტებად" მოხსენიების ამსახველი კადრები.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029320

**რუსთავი 2, კურიერი, 4 მაისი**

კურიერმა სოციალურ ქსელებში გავრცელებული აღნიშნული ფარული ჩანაწერები იანვარში პროკურატურის მიერ გავრცელებულ კადრებს დაუკავშირა, სადაც ჰომოსექსუალური სცენები იყო ასახული და აქცენტი გააკეთა იმ გარემოებაზე, რომ წინა შემთხვევაში, კადრებში ასახულ პირთა სახეები დაფარული იყო, განსხვავებით სოციალურ ქსელებში გავრცელებული ბოლო მასალისგან.

> გიორგი გაბუნია: "*იანვარში მთელმა საქართველომ ტელევიზიების საშუალებით ნახა კადრები, სადაც ჰომოსექსუალი მამაკაცების და საზოგადოებისთვის ცნობი-*

გაგრძლება გვ. 15

## სიძულვილის ენა

საანგარიშო პერიოდში სიძულვილის ენას როგორც მედიის წარმომადგენლების, ასევე რესპონდენტთა მხრიდან ჰქონდა ადგილი. რესპონდენტების შემთხვევაში, ჟურნალისტები ან მსგავსი გამოხატვის თანამოზიარენი იყვნენ, ან რეაგირების გარეშე ტოვებდნენ ადამიანთა მიმართ სიძულვილის გაღვივებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტწილად სიძულვილი განპირობებული იყო მიუღებელი მოსაზრებებითა და ქმედებებით და არა ადრესატთა ეთნიკური, რელიგიური ან სექსუალური კუთვნილებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დოზით წარმომავლობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაც გამოიკვეთა. პირველ შემთხვევაში "ასავალ-დასავალის" ჟურნალისტის სიძულვილის საბაბი ისტორიკოს ლაშა ბაქრაძის მიმართ ამ უკანასკნელის მხრიდან სტალინიზმის ფენომენის კრიტიკა იყო; მეორე შემთხვევაში მსახიობ დიმა ჯაიანის მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მიმართ მსგავსი გამოხატვის საფუძველი საერთო სასამართლოების კანონზე პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო იყო; ხოლო ბოლო შემთხვევაში არაიდენტიფიცირებული პირის ქმედება.

**ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი**

ასავალ-დასავალის ჟურნალისტი გიორგი გიგაური ღირსებისშემლახავი სიტყვებით - "უზნეო პრიმიტივი", "ორფეხი", "უნუგეშო კრეტინი", "გარეწარი", "გადაგვარებული" მოიხსენიებს ისტორიკოს ლაშა ბაქრაძეს და სიძულვილის აღვივებს მის მიმართ.

> გიორგი გიგაური: *"დიახ, ლაშა ბაქრაძეს და მისნაირ გადაგვარებულ, ეროვნება-ატროფირებულ დეგენერატებს სძულთ ქართველი გლეხი, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მთავარი მესაიდუმლეა "ქრისტეს ხორცისა"…*
>
> *დიახ, ლაშა ბაქრაძეც ერთ-ერთი იმ წრუწუნათაგანია, რომელიც ჯერ კიდევ ტუტუცი ნიკიტა ხრუშოვის მმართველობის დროს დაწყებულ საქმეს აგრძელებს და თავისი პატარა დინგით ცდილობს, სამარე გაუთხაროს ბუმბერაზ სტალინს!"*

ბიულეტენი №4

გიორგი გიგაური: *"დიახ, ლაშა ბაქრაძეს და მისნაირ გადაგვარებულ, ეროვნება-ატროფირებულ დეგენერატებს სძულთ ქართველი გლეხი, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მთავარი მესაიდუმლეა "ქრისტეს ხორცისა"…*

**ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი**

დიმა ჯაიანთან გიორგი გიგაურის ინტერვიუ *"ნაცებო, ფრთხილად იყავით, გა-და-გივ-ლით!!!"* სათაურშივე შეიცავს სიძულვილს პოლიტიკურად მიუღებელი ჯგუფის მიმართ, თავად ინტერვიუ კი ნაციონალური მოძრაობის კონკრეტული წარმომადგენლების დისკრიმინაციას შეიცას, მათ შორის სქესობრივი, ეთნიკური (წარმომავლობა), ბიოლოგიური (ფიზიონომია) ნიშნით და სიძულვილს აღვივებს როგორც პარტიის ცალკეულ წარმომადგენელთა, ასევე კრებითად ყველა წევრის მიმართ:

> დიმა ჯაიანი: *"როდემდე შეიძლება ამ გიორგი კანდელაკის ყალბი ფიზიონომიის ყურება?!. მითხარით ხალხო, როდემდე უნდა ვუყუროთ ამ გაურკვეველი წარმომავლობის და სქესის აკუკი მინაშვილს?!.. ესენი მხოლოდ ციხეში გაშვებას კი არ იმსახურებენ, იქ ცოცხებით გაუპატიურების ღირსები არიან! მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ბევრ მათგანს ეს ძალიანაც ესიამოვნება!"*

http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

**მაესტრო. კვირის არგუმენტი, 1 მაისი**

კვირის არგუმენტებში სტუმრობისას, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი მართალია კონკრეტულად არ ასახელებს თანამდებობის პირს, რომელიც მისი ინფორმაციით, დაქვემდებარებულ მანდილოსნებზე ძალადობს, მაგრამ სიძულვილს აღვივებს მის მიმართ, როცა მსგავსს შემთხვევებში, ლინჩის წესით გასამართლებას (ადამიანის დაწვას) მიიჩნევს მიზანშეწონილად.

> ირაკლი პეტრიაშვილი: *"მე ვიცი თბილისის ერთ-ერთ სამსახურში, როგორ ძალადობს მანდილოსნებზე ხელმძღვანელი… სექსუალური თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებამ ნუ, არ ვიცი ახლა, უნდა დაწვას ეს კაცი, რა ვიცი, მინიმუმ ციხეში უნდა"…*

რესპონდენტის მსგავს განცხადებაზე ჟურნალისტი არ რეაგირებს და მხოლოდ იმით ინტერესდება, რამდენად არიან სათანადო ორგანოები ინფორმირებული აღნიშნული ინციდენტის შესახებ.

http://www.myvideo.ge/?video_id=2026201

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

### ანტიჩინური განწყობები

ანტიჩინური განწყობები, რომელთა ტირაჟირება როგორც მედიის, ასევე რესპონდენტთა მხრიდან აქვს ადგილი, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, საკუთრებით საკითხებთან კავშირში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული სპეკულაციის საგანია თბილისის ზღვაზე ჩინური კომპანიის მიერ წარმოებული მშენებლობა, რომელიც მედიის, პოლიტიკოსებისა და ცალკეულ საჯარო პირთა მხრიდან ჩინური ქალაქის და ჩინური დასახლების მშენებლობის სახით არის საზოგადოებისთვის მიწოდებული.

კავკასია, სპექტრი, 3 მაისი

ნაძალადევის რაიონში ჩატარებული არჩევნების შეფასებისას, არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ კანდიდატთან საუბრისას, გადაცემის წამყვანი დავით აქუბარდია ჩინელების საფრთხეზე სპეკულირებს:

> დავით აქუბარდია: *"ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავეხმარეთ, მართლა უცხო ძალა წაგვართმევს საქართველოს, რასაც ზვიადი ამბობს და მე ხშირად დავდივარ თბილისის ზღვაზე, გული მისკდება, კაცო, ინტენსიური მშენებლობა მიდის. ჩინელები გვინდა კიდე აქა, ჩვენ თვითონ უმუშევრებითა გვაქვს სავსე მთელი ქალაქი."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2028612

ობიექტივი, 2 მაისი

ჩინური ქალაქის თეზისს ავითარებს "ღამის სტუდიის" წამყვანი ნინო რატიშვილიც:

> ნინო რატიშვილი: *„აჭარის საკითხი, მიწების საკითხი, გროვდება, ძალიან ბევრი პრობლემა გროვდება. უნდა მივხედოთ. მერე შეიძლება იყოს ძალიან გვიან. ჩინური ქალაქი რომ აშენდეს, როგორ ფიქრობთ..."*
> http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=11794

კვირის ქრონიკა, 3-12 მაისი

ჩინელების თემაზე, როგორც საქართველოს დაკარგვის საფრთხეზე საუბრობს კვირის ქრონიკასთან ინტერვიუში "თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენელი გია ყრუაშვილი, ხოლო ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი ღიად აფიქსირებს თავის მხრადაჭერას განსახილველ საკითხთან მიმართებით.

> გია ყრუაშვილი: *„აგერ, ჩინელებმა მთლიანად შემოხაზეს მთელი ვარკეთილი, მთელი ზღვა, ვინდა დავრჩებით საქართველოში? ახლა ვაპირებ ასვლას ზღვაზე, ერთი სამოსახლო უნდა შემოვფარგლო. ვიცი, ეგრევე მომადგებიან, არც ერთ ჩინელს ხმას არ გასცემენ, ამის დედა ვატირე, ჩემთან „დუბინკებით" მოცვივდებიან. ძალიან მაინტერესებს, ერთი, რას მიზამენ".*

> გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი: *„მაგ საქმეზე ერთად მივდივართ."*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 12 მაისი

> ასმათ ტყაბლაძე, მსახიობი: *„პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, დაავალეთ გამოიკვლიონ, რა ხდება შუაგულ თბილისში, რატომ უნდა დარბოდნენ აქ ტიტლიკანა ჩინელები."*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 12 მაისი

მწერალი და ეთნოგრაფი კობა არაბული დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს შაჰ აბასის შემოსევებსა და თანამედროვე მდგომარეობას შორის, როდესაც ჩინელების, ინდოელებისა და არაბების შემოყვანა სააკაშვილის მხრიდან ანალოგიურ შუა საუკუნეობრივ ქმედებად არის წარმოჩენილი:

> კობა არაბული: *„საუკუნეების წინ შაჰ აბასი გვყრიდა, ახლა სააკაშვილმა ჩინელები, ინდოელები და არაბები შემოგვიყვანა."*
> http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

კვირის ქრონიკა, 3-12 მაისი

სახლახო კრების ლიდერი თემურ შაშიაშვილი კანონმდენმდებლობის გადახედვის

გაგრძელება გვ. 6



დიმა ჯაიანი: *"ესენი მხოლოდ ციხეში გაშვებას კი არ იმსახურებენ, იქ ცოცხებით გაუპატიურების ღირსები არიან! მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ბევრ მათგანს ეს ძალიანაც ესიამოვნება!"*

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

აუცილებლობაზე საუბრობს და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას ახდენს.

თემურ შაშიაშვილი: *„მიდით რეესტრში, დღეს იქ დგას 80 პროცენტი არაბი, ინდოელი, ჩინელი“.*

*„უნდა გაუქმდეს მოქალაქეობის მინიჭების დამღუპველი სისტემა. თუ გერმანიაში გერმანელივით არ იცი გერმანული, გამორიცხულია, მოქალაქეობა მიიღო. ჩვენ ხარაგაულში ჩინელები გვყავნან ჩხეიძეები და წერეთლები, ჯერ ჩინელი ბაგრატიონი არ შემხვედრია.“*

რესპონდენტის განწყობებს ჟურნალისტი გელა ზედელაშვილიც იზიარებს:

გელა ზედელაშვილი: *„ბატონო თემურ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, თუკი ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს დავანიავებდით?“*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია კვლავ დომინანტი იყო საკუთრების საკითხებთან მიმართებაში.

დიმა ჯაიანი: *"საქართველო მხოლოდ სიტყვით რომ არ გვიპირებდა სინგაპურიზაციას და საქმითაც გვაუბედურებდა, აგერ გამოჩნდა კიდეც - თურმე ათასობით ჰექტარი ქართული მიწა ინდოელებისა და ჩინელებისთვის მიუყიდიათ! ეს დემოკრატიულობაა თუ ქვეყნის მტრობა.”*

http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

### სხვადასხვა

“ალია”, 2-7 მაისი

გელა ზედელაშვილის ინტერვიუ სოფლის მეურნეობის მინისტრთან დავით კირვალიძესთან, სათაურით “*რატომ არ ცვლის ხელისუფლება კანონებს?*” მიწის გასხვისების საკითხებს ეხება. ინტერვიუს დისკრიმინაციულ არსს, რომელიც ჟურნალისტის სარედაქციო პოზიციაშია გამოხატული, აძლიერებს ფოტო-მასალა, სადაც ორი აზიური გარეგნობის მამაკაცი, მათგან ერთი - ჩალმიანია ასახული.

რესპონდენტი დავით კირვალიძე ცდილობს ახსნას, რომ მიწის გასხვისება ძირითადად კერძო პირებისგან ხდებოდა, რასაც ჟურნალისტი წინა ხელისუფლების მიმართ უნდობლობით ხსნის (*„იმიტომ, რომ მათი მხარდაჭერა არ ჰქონდათ და ხელჩაქნეულები იყვნენ“*).

საკუთრების საკითხებზე “ალიაში” გამოქვეყნებული სხვა მასალებისგან განსხვავებით, სადაც რესპონდენტი და ჟურნალისტი იდენტური პოზიციებით გამოდიან, აღნიშნულ შემთხვევაში დისკრიმინაციულ მიდგომებს ძირითადად ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი ამჟღავნებს.

გელა ზედელაშვილი: *„ინდოელებსა და ჩინელებზე აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ. ამ საკითხზე საუბარს თავად ბიძინა ივანიშვილიც თავს არიდებს. არადა, წაგვლეკეს ამ უცხოელებმა.“*

*„შეაჩერეთ, ძმაო. საქართველოში დღეს ჩამოსულს დღესვე შეუძლია მიწის ყიდვა, ეს სამართალია?”*

კავკასია, 30 აპრილი

სპექტრის წამყვანი დავით აქუბარდია სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების დასაბალანსებლად მიიჩნევს მიზანშეწონილად, რითაც მათ დისკრიმინაციას ახდენს.

დავით აქუბარდია: *„ყველაზე მთავარი ამ მემარცხენე იდეოლოგიის არის სოციალური სამართლიანობა. ეს თუ დომინანტი არ გახდა, ან თურქები შეგვჭამენ, ან პაკისტანელები, ელემენტარულად ქვეყანა დაინგრევა.”*

http://www.myvideo.ge/?video_id=2058759

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

ელიზბარ ჯაველიძე დაუსაბუთებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აჭარის დაკარგვისა და გათურქების საფრთხის ჰიპერბოლიზებას ახდენს.

ელიზბარ ჯაველიძე: *„ბათუმში უკვე 27 ათასი თურქი ცხოვრობს. როგ-*

ბიულეტენი №4

დავით აქუბარდია: *„ყველაზე მთავარი ამ მემარცხენე იდეოლოგიის არის სოციალური სამართლიანობა. ეს თუ დომინანტი არ გახდა ან თურქები შეგვჭამენ, ან პაკისტანელები, ელემენტარულა დ ქვეყანა დაინგრევა.”*

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

უნდა აღინიშნოს, რომ მედიასა და საჯარო სივრცეში რელიგიური და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობს, ისევე როგორც ხშირად ეთნიკურ-რელიგიურ-სექსუალურ დისკრიმინაციას შორის, რაც დიდწილად პოლიტიკური დისკურსისთვისაა მახასიათებელი.

<u>კვირის პალიტრა, 29 აპრილი-5 მაისი</u>

გაზეთი სათაურით *"კარგი კაცი ხარ, მაგრამ ქრისტიანი ხარო[?!]"* აქვეყნებს ვრცელ ინტერვიუს გიორგი ოქრუაშვილთან, რომლის მტკიცებით, ის აზერბაიჯანული შპს "კავკასკაბელიდან" მისი მრწამსის - მართლმადიდებლობის გამო დაითხოვეს. მსგავსი ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია, თუმცა, მასალის ავტორს მარი ზანდუკელს სათანადო ზომები არ მიუღია თავად ფაქტის ნამდვილობის დასადგენად. მართალია, სტატია P.S.-ში შეიცავს საწარმოს დამფუძნებლის ელჩინ ჰუმატოვის მცირედ კომენტარს, რომელიც გიორგი ოქროპირიძეს ცილისწამებაში სდებს ბრალს და ჟურნალისტს პირობას აძლევს, რომ მომავალ კვირას ვრცლად და ამომწურავად ესაუბრება, მაგრამ ამ შემთხვევაში ბალანსის მხოლოდ ფორმალურ დაცვასთან გვაქვს საქმე.

პირველ რიგში, ჟურნალისტი უნდა დალოდებოდა ბრალდების ადრესატის ელჩინ ჰუმატოვის დაპირებულ ვრცელ კომენტარს, რაც ფაქტის გადამოწმების შესაძლებლობას მისცემდა მას და მასალა მხოლოდ ამის შემდეგ გამოექვეყნებინა. ჟურნალისტს ასევე შეეძლო, გაერკვია საწარმოს სხვა თანამშრომლებისგან, ექმნებოდათ თუ არა მათ რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების ან სხვა ნიშნით პრობლემები სამსახურში.

გარდა იმისა, რომ ჟურნალისტს არ გამოუჩენია სათანადო ძალისხმევა თავად ფაქტის დაზუსტების თვალსაზრისით, სტატიაში მოყვანილია ექსპერტ მამუკა არეშიძის შეფასებები, რომელიც არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ეთნიკური ნიშნით დაუსაბუთებელ განზოგადებებს და არარელევანტური პარალელების მოყვანას ახდენს, შედეგად ინვესტორის ქართველთა მჩაგვრელად წარმოჩენა ხდება:

გაგრძლება გვ. 8

ასავალ დასავალი

**დიმა ჯაინი:** *"გაუმარჯოს სომეხ პრეზიდენტს სომხეთში! საქართველოს კი უნდა ჰყავდეს ქართველი პრეზიდენტი! წარმოგიდგენიათ, სომხეთს რომ ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს?!.. საქართველოში ქართველი დაილია, სომეხი პრეზიდენტი რომ არ გვყოლოდა?!"*

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 5-6

*ორც ვიცი, აჭარაში ჩასახლდა 6 ათასი სომეხიც. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ აჭარა ჩვენი აღარ არის... თურქული ტელევიზია ბათუმს თურქულ ქალაქად აცხადებს. ჩაივლი ქუჩაში და ქართული ლაპარაკი არ გესმის"...*

<u>ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი</u>

*ასავალ-დასავალში* კვლავ გრძელდება საქართველოს პრეზიდენტის არაქართველობის და სომხობის თემა, რომელსაც ამ შემთხვევაში მსახიობი დიმა ჯაიანი ახმოვანებს. რესპონდენტი ეთნიკური ნიშნით უფლებრივ სეგრეგაციას ახდენს.

> **დიმა ჯაინი:** *"ვახტანგ ყოლბაია არის კაცი, ქართველი კაცი და არაქართველი სააკაშვილი მას საქართველოს ღალატში არ უნდა ადანაშაულებდეს!"*

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ინტერვიუ, როგორც შინაარსით, ასევე სათაურით - *"ნაცებო, ფრთხილად იყავით, გა-და-გივ-ლით!!!"* სიძულვილზე და დისკრიმინაციაზეა აგებული, რესპონდენტის ამ განცხადებას ჟურნალისტის გიორგი გიგაურის შენიშვნა მოსდევს, რომ ამ სიტყვების გამო ბატონ დიმას ქსენოფობიაში დაადანაშაულებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი გიორგი გიგაური თავად გამოირჩევა ქსენოფობიით, თუმცა მისი მხრიდან რესპონდენტის ნათქვამზე მსგავსი რეაგირება მაინც გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. საპასუხოდ დიმა ჯაიანი კვლავ ანალოგიურ რიტორიკას მიმართავს.

> **დიმა ჯაინი:** *"გაუმარჯოს სომეხ პრეზიდენტს სომხეთში! საქართველოს კი უნდა ჰყავდეს ქართველი პრეზიდენტი! წარმოგიდგენიათ, სომხეთს რომ ქართველი პრეზიდენტი ჰყავდეს?!..საქართველოში ქართველი დაილია, სომეხი პრეზიდენტი რომ არ გვყოლოდა?!"*
> <u>http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf</u>

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 7

მამუკა არეშიძე: *"ზაგულისხმოა ისიც, რომ წინა ხელისუფლებამ თავზე დაგვასვა ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის ფინანსური და ბიზნესჯგუფები. სასათბურე პირობები შეუქმნეს ზოგიერთ უცხოურ ფირმებს. ასეთ გარემოში ისინი დაუსჯელად გრძნობენ თავს... საქართველოში რომ ქართველების მდგომარეობა არ არის სახარბიელო, იმიტომ არის მთელი ევროპა ქართველებით მოფენილი. იქ ათასგვარ დამცირებას იტანენ, მაგრამ უცხოეთში შეიძლება ეს აიტანო, საკუთარ სამშობლოში - ვერა! ქართველს რელიგიის შეცვლა რომ ისლამურ ქვეყანაში მოსთხოვონ, ეს კიდევ შემიძლია გავიგო, მაგრამ როდესაც ამას საკუთარ სამშობლოში სთხოვ, წარმოუდგენელი და ძალიან გამაღიზიანებელია.*

*რამდენადაც ვიცი, ასევე არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც ჩინელებთან მუშაობენ ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე... ქართველების დაჩაგვრას არ შევურიგდები, ინვესტორი საიდანაც უნდა იყოს ჩამოსული."*

ვინაიდან გიორგი ოქრუაშვილი საკითხისთვის სამართლებრივი მსვლელობის მიცემას აპირებს და ფაქტობრივი გარემოებები სასამართლო პროცესზე უნდა დადგინდეს, სასურველი იქნებოდა, ჟურნალისტს ექსპერტი ამ თვალსაზრისით შეერჩია. იურისტის შეფასებები იმის შესახებ, თუ როგორ რეგულირდება მსგავსი შემთხვევები; სახალხო დამცველის აპარატიდან ან სასამართლოდან მოპოვებული ინფორმაცია, თუ რამდენად გავრცელებულია დასაქმებულთა მიმართ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, საკითხში მეტ სიცხადეს შეიტანდა .

ბიულეტენი №4



მამუკა არეშიძე: *"საქართველოში რომ ქართველების მდგომარე-ობა არ არის სახარბიელო, იმიტომ არის მთელი ევროპა ქართველებით მოფენილი. იქ ათასგვარ დამცირებას იტანენ, მაგრამ უცხოეთში შეიძლება ეს აიტანო, საკუთარ სამშობლოში - ვერა! "*

### იმედი, 6 მაისი

ქრონიკის სიუჟეტი სოფელ ქვემო ბოლნისში მამათა მონასტრის კურთხევას და ეთნიკური აზერბაიჯანლებით დასახლებულ ადგილას პროზელიტიზმის თემას ეხება. მეუფე ეფრემის სიტყვები სოფელში ეთნიკურად რთულ გარემოზე და სარწმუნოებისთვის დაღვრილ სისხლზე დისკრიმინაციულია საქართველოს იმ მოქალაქეთა მიმართ, ვისაც განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება აქვთ.

მეუფე ეფრემი: *"საუკუნეთა განმავლობაში, ეს ტაძარი იყო უმოქმედო. მოგეხსენებათ, აქ რაოდენ რთული გარემოა ეთნიკურად: ქართველობა და ქრისტიანობა აქ უმცირესობა არის. ეს დღევანდელი რეალობაა. ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში თავდადებით იბრძოდნენ აქ სარწმუნოებისა და სამშობლოს გადასარჩენად და ფაქტიურად ზღვა სისხლითაა მორწყული ეს მიწა-წყალი. ამდენად, მნიშვნელოვანია, სწორედ ამ გარემოში, სადაც აქტიურად ქართველები აღარ ცხოვრობენ, მოქმედებდეს ქართული ტაძარი. აქ ჩვენ დავაფუძნეთ მამათა მონასტერი, რომ ტაძარს მუდმივად ჰყავდეს პატრონი."*

სიუჟეტი მხოლოდ სასულიერო პირის კომენტარს ეფუძნება და განზოგადებაც ამ ნიშნით ხდება:

ნუცა ტრაპაიძე: *"სოფელში, სადაც ქართველები თითქმის აღარ ცხოვრობენ, ახლა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2030552

### ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

გაზეთის სარედაქციო პოზიციას გამოხატავს გასულ კვირას "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული დეკანოზ გრიგოლ გოგიჩაძის სიტყვების ციტირება, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას სატანისტურ სექტად მოიხსენიებს:

გრიგოლ გოგიჩაძე, დეკანოზი: *"მე ნაციონალურ მოძრაობას სატანისტური სექტა ვუწოდე. ამ ბინძურმა ძალამ ეკლესია ლამის განხეთქილებამდე მიიყვანა",*
http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

# რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

## მეჩეთის მშენებლობა

ბათუმში მეჩეთის მშენებლობის მიუღებლობის თემის გაშუქება კვლავინდებურად "პატრიოტთა ალიანსის" მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე აპელირებით ხდებოდა. ეს თემა გარდა "პატრიოტთა ალიანსთან" აფელირებული მედია-კავშირ *ობიექტივისა*, სტანდარტების დარღვევით გაზეთ "*რეზონანსშიც*" გაშუქდა.

**რეზონანსი, 3 მაისი**

მართალია, *რეზონანსში* გამოქვეყნებული ინფორმაცია, სათაურით *"ბათუმელების 95% მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგია"* სააგენტო "მედიანიუსს" ეკუთვნის, მაგრამ გამოქვეყნებით გაზეთის რედაქცია მის შინაარსზე პასუხისმგებლობას იზიარებს.

ინფორმაციაში დარღვეული ის მინიმალური სტანდარტი, რომელიც საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისას უნდა გაითვალისწინონ. სახელდობრ, მიუთითოს კვლევის დამკვეთი, შემსრულებელი, დამფინანსებელი, რესპონდენტთა რაოდენობა, ცდომილების სავარაუდო ზღვარი, კვლევის ჩატარების გეოგრაფიული არეალი და დრო, კითხვების ზუსტი ფორმულირება, მეთოდოლოგია. ამ მინიმალური მოთხოვნებიდან ინფორმაციაში მხოლოდ რესპონდენტთა რაოდენობა, კვლევის არეალი და შემსრულებელია მითითებული და არ არის ასახული ისეთი აუცილებელი კომპონენტები, როგორიცაა კვლევის დამკვეთი და დამფინანსებელი და კითხვის ზუსტი ფორმულირება.

თავისთავად სამართლებრივად რამდენად გამართლებულია უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საკითხების უმრავლესობის აზრის საფუძველზე გადაწყვეტა, ცალკე მსჯელობის საგანია და აღნიშნული კვლევის გაშუქება სწორედ ამ კუთხით იქნებოდა მიზანშეწონილი.

**ობიექტივი, 2 მაისი**

ღამის სტუდიამ მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული გამოკითხვა ტრადიციულად უმრავლესობის აზრის გათვალისწინების აუცილებლობის კონტექსტში წარმოაჩინა. გარდა სატელეფონო ჩართვისა, რომელშიც ამ აზრს პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი ადა მარშანია ავითარებდა, ანალოგიურ დამოკიდებულებას თავად გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი ამჟღავნებდა.

> ნინო რატიშვილი: *"თუ ამას არ გაუწევს ანგარიშს ახალი ხელისუფლება, იქნება თუ არა ეს სერიოზული ?"*

გადაცემის ბოლოს ჟურნალისტი მოსახლეობას გამოკითხვის შედეგებს ულოცავს:

> ნინო რატიშვილი: *„მე მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო, ბათუმში დამთავრდა ეს გამოკითხვა და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ გახდება კიდევ ერთი წყალგამყოფი ხალხსა და ახალ ხელისუფლებას შორის."*
> http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=11794

ნინო რატიშვილი: *„მე მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო, ბათუმში დამთავრდა ეს გამოკითხვა და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ გახდება კიდევ ერთი წყალგამყოფი ხალხსა და ახალ ხელისუფლებას შორის."*

## ცრუ რწმენები

**კვირის პალიტრა, 29 აპრილი-5 მაისი**

ჟურნალისტ ზვიად სეხნიაშვილის სტატია, სათაურით *"დამიგდე ყური, ბაბუა, უყურეთ ღმერთსა, რა უყოს მტერსა"*, რომელიც სასულიერო პირს მამა გიორგი ბასილაძეს ეძღვნება, რუბრიკაში "კვალი ნათელი", ცრუ რწმენების ტირაჟირებას ახდენს.

ჟურნალისტი აღწერს, როგორ შეიარეს ზუგდიდისკენ მიმავალ გზაზე მამა გიორგისთან, რომელიც სტუმრებს დარჩენას სთხოვდა. მას შემდეგ, რაც მათ არ დაიშალეს და სასულიერო პირს მაინც დაემშვიდობნენ, მანქანა არ დაიქოქა. ჟურნალისტის მტკიცებით, მანქანა მხოლოდ მას შემდეგ დაიქოქა, რაც მამა გიორგიმ "ჯვარი გადაასახა".

მეორე ეპიზოდი ღვინოს უკავშირდება. ჟურნალისტის ინფორმაციით, მამაომ მათ გზად ღვინო და პური გაატანა და გააფრთხილა, სანამ სახლში არ ჩახვალთ, ეს ღვინო არ დალიოთო. ზვიად სეხნიაშვილის მტკიცებით, ქუთაისის გზაზე მათ ღვინის გასინჯვა მოინდომეს, მაგრამ მას ისეთი ძმრის გემო ჰქონდა, რომ დალევა ვერ შეძლეს. *"სახლში მისულებმა ხელახლა გავსინჯეთ ის ღვინო და დიდება შენდა უფალო, რა ძმარი, რის ძმარი, ნაღდი ღვინო არ დაგვხვდა(!)"*.. - განაგრძობს ჟურნალისტი.

გაგრძელება გვ. 10

## ცრუ რწმენები

**რუსთავი 2, P.S., 5 მაისი**

პოსტსკრიპტუმის სიუჟეტი პირადობის ელექტრონულ მოწმობებზე ერთგვარი მცდელობაა, პასუხი გაეცეს იმ ცრუ რწმენებს, რომელიც ID ბარათებთან მიმართებით მორწმუნეთა ერთ ნაწილს გააჩნია. გადაცემის წამყვანი დავით კიკალიშვილი შესავალში მიუთითებს იუსტიციის სამინისტროს იმ კლიპზეც, რომელიც პირობას იძლევა, რომ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში სამი ექვსიანი მიჯრით არ განმეორდება და სვამს შეკითხვას, თუ რა დგას ამ კამპანიის უკან - *"ბიბლია, გლობალური კონტროლის პროტესტი თუ ანტიდასავლური და ანტიებრაული პროპაგანდა, რომელიც ფარულად მოგვიწოდებს იზოლაციისაკენ?!"*

სიუჟეტში სასულიერო პირთა და მორწმუნეთა არგუმენტები დეტალურად არის განხილული და წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს წამომადგენლის კონტრ-არგუმენტები:

> მეუფე იობი : *„I, ნიშნავს - მე, ინგლისური სიტყვებია. D - არის შემოკლებით, დემონი. ესეიგი, მე დემონი ვარ."*
>
> ლევან სამადაშვილი, იუსტიციის სამინისტრო: *„ID ნიშნავს საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, ანუ ინგლისურად. ინგლისურად - Identification Document"*.
>
> მეუფე იობი: *"საოცარი რა არის, რომ სწორედ, როგორც იესო ქრისტე გაიყიდა 30 ვერცხლად, ამ ბარათის აღებაც 30 ლარი ღირს."*
>
> მამა ზოსიმე: *„მსოფლიო გლობალური მაკონტროლებელი სისტემის მხეცის კოდის შემქმნელი კაცის რიცხვი და მხეცის რიცხვი ერთი და იგივე რიცხვია და ეს რიცხვი არის 666."*

მიუხედავად სიუჟეტის განმარტებითი ხასიათისა, სიუჟეტის ბოლოს თავად ავტორი გიორგი გვიშიანი მაინც აკეთებს დაშვებას, რომ თუ მხეცის ნიშანი არის შტრიხ-კოდი, გამოდის, რომ ყოველდღიურ სავაჭრო ურთიერთობისას ჩვენ ნებაყოფლობით ვიღებთ მხეცის ნიშანს.

> გიორგი გვიშიანი, ჟურნალისტი: *„აპოკალიფსში მოხსენიებული მხეცის ნიშანი თუ ნამდვილად ის შტრიხ-კოდია, რომელიც ყველა გასაყიდ საქონელზეა დატანილი, გამოდის, რომ თითოეული ჩვენთაგანი, ვინც მაღაზიაში რამეს ვიძენთ, ნებაყოფლობით ვთანხმდებით, მივიღოთ მხეცის ნიშანი. შესაბამისად, თუ სულის წარწყმედა არ გვსურს, მაშინ ვაჭრობაზე, ფულით იქნება ის, თუ პლასტიკური ბარათით, მთლიანად უარი უნდა ვთქვათ."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2054996

ცხადია, რომ სიუჟეტის ავტორი იყენებს ჟურნალისტურ ხერხს, რათა მაყურებელს დაანახოს საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების აბსურდულობა. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს გარემოება ჟურნალისტს სიტყვიერად აღენიშნა, რათა გამოირიცხოს იმის ალბათობა, რომ ვინმემ ეს ჰიპოტეტური დაშვება რეალურ ფაქტად აღიქვას.

## დეპორტირებული მესხები

**მაესტრო, პოლიტმეტრი, 29 აპრილი**

დეპორტირებული მესხების თემას ვრცელი გადაცემა მიუძღვნა "პოლიტმეტრმა".

აღსანიშნავია, რომ მესხების რეპატრიაციის თემა რესპონდენტთა დისკუსიაში კვლავინდებურად, არა მათ მიმართ სამართლიანობის აღდგენის უფლებას უკავშირდება, არამედ გენეტიკურ წარმომავლობას - მათ ქართველობას ან არაქართველობას. ამ მიდგომას როგორც რეპატრიაციის მომხრეები (გოგა ხაინდრავა), ასევე მოწინააღმდეგეები (მანანა ნაჭყეპია *"მაჰმადიანი მესხები, რომლებიც გენეტიკურად მართლაც არიან ქართული წარმოშობის"*) ავლენენ.

> გოგა ხაინდრავა: *"95% იმ ადამიანების, ვინც გასახლებული იყვნენ იმ დროს საქართველოდან, არიან წმინდა წყლის ქართველები, მესხები…"*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2036388
>
> გოგა ხაინდრავა: *"წმინდა წყლის ქართველები არიან... მაგათ აქვთ ერთადერთი, რაც აქვთ, რელიგია, ისლამის მიმდევრები არიან და ისიც ბედის უკუღმართობის გამო და არა მათი სურვილის გამო."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2036401

ამასთანავე გოგა ხაინდრავას ბოლო ფრაზა დეპორტირებულთა მრწამსის შესახებ დისკრიმინაციულია, რადგან რესპონდენტის შეფასებით, ამ ადამიანთა რელიგიური გრძნობა არა მათი ნება, არამედ ძალით თავსმოხვეული ფაქტორია.

მართალია, ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია სწორად აღნიშნავს, რომ გენეტიკურ ნიშნულს, დნმ-ის ანალიზს და ამ ადამიანთა აღმსარებლობას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ამართლებს საბჭოთა რეჟიმის გადაწყვეტილებას ძალადობრივად გასახლების თაობაზე, როდესაც დეპორტირებულთა ანტიქართულ განწყობებზე საუბრობს და ამ გარემოებას დადასტურებულ ფაქტად გვთავაზობს.

> ჯონდი ბაღათურია: *"მთავარია, მათი აქედან გასახლების მიზეზი იყო მათი ანტიქართული განწყობა, პროთურქული განწობა, მოდი ასე ვთქვათ და... არ ვიცი ახლა გენეტიკურად*

## დეპორტირებული მესხები

*ქართველი, მათი დიდი ნაწილი 80% მაინც თურქია, იმიტომ რომ თავის დროზე თურქულმა საოკუპაციო რეჟიმმა შუა თურქეთის სიღრმიდან განახორციელა ჩამოსახლება მესხეთში ეთნიკური თურქების იმისათვის, რომ დემოგრაფიული ბალანსი შეეცვალათ.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2029394

ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია კი მესხების სეგრეგაციას გენეტიკურ ქართველებად და იმ ადამიანებად ახდენს, ვისაც საბჭოთა კაგებე თავის სამსახურში იყენებდა.

მანანა ნაჭყებია: *”მიუხედავად ჩვენი დამოკიდებულებისა, რომ რაღაცნაირად ისტორიული სამართლიანობა ნაწილის მიმართ, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ აქ ორი ნაწილი შეიძლება იყოს: ეს არიან მაჰმადიანი მესხები, რომლებიც გენეტიკურად მართლაც არიან ქართული წარმოშობის, რომელთათვისაც ეს ისტორიული სამშობლოა, მაგრამ აქ არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან კარგად იყენებდა საბჭოთა კაგებე საქართველოს წინააღმდეგ. “*
http://www.myvideo.ge/?video_id=2036367

რეპატრიაციის ოპონენტთან, ჯონდი ბაღათურიასთან საუბარში გადაცემის წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი მართებულად აპელირებს ამ ადამიანთა მიმართ ჩადენილ უსამართლობაზე, თუმცა ამავე დროს წამყვანის მხრიდან ადამიანის უფლებების დამცველების ეთნიკური ნიშნით ქართველებად მოხსენიება გაუმართლებელია.

ნინო ჟიჟილაშვილი: *“სწორედ ამის გამოც ადამინის უფლებათა დამცველები ამ ქვეყანაში, ეთნიკური ქართველი ადამიანის უფლებების დამცველები ამბობენ, რომ ამ პროცესის შეჩერება იქნება უბრალოდ უსამართლობა კონკრეტული ადამიანების მიმართ.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2029434

როდესაც ჯონდი ბაღათურია საუბრობს სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე და საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეობაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ლეგიტიმური თემაა, ჟურნალისტს საკითხი კვლავ ეთნიკურ დისკურსში გადაჰყავს და მიანიშნებს რა სტალინზე, აცხადებს, რომ “*ამ პროცესში ეთნიკურ ქართველებსაც ჰქონდათ წვლილი.*” ჯონდი ბაღათურია, ამ შემთხვევაში, სრულიად სამართლიანად მიუთითებს ჟურნალისტს, რომ დნმ-ის ანალიზი და ეთნიკურობის ნიშნით ადამიანების დაყოფა არ არის მიზანშეწონილი.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029434

თუმცა, თავის მხრივ, ქართული დასის ლიდერი დაუსაბუთებელ პარალელებს ავლებს მესხების რეპატრიაციასა და ქვეყანაში არსებულ დევნილთა მდგომარეობას შორის. მით უფრო, რომ დეპორტირებუთა მიმართა სახელმწიფოს რესტიტუციის ვალდებულება კანონმდებლობით არ აქვს.

ჯონდი ბაღათურია: “*300 000-მდე დევნილი გვყავს საქართველოში... ეს ხალხი უსახლკაროდ არიან დარჩენილი. ახლა ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ დარბოდაო, ისე ხო არ გამოგვდის ჩვენ აგერ, აქ რომ ცხოვრობს, ჩვენი ხალხისთვის ვერ მიგვიხედავს”...*

ოპონენტების არგუმენტზე დაყრდნობით, კერძოდ, დევნილთა საკითხზე აპლირებით უსვამს შეკითხვას წამყვანი იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, რაც ლეგიტიმურია, თუმცა შეკითხვა დევნილებთან მიმართებაში გარკვეულ ემოციებზე თამაშს და სპეკულაციებს შეიცავს, მით უფრო, რომ როგორც აღინიშნა, რეპატრიაციის სტატუსის მქონეთა მიმართ სახელმწიფოს არავითარი რესტიტუციის ვალდებულება არ გააჩნია:

ნინო ჟიჟილაშვილი: *“საკითხი ასე დასვა თქვენმა ოპონენტმა… ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ასი ათასობით დევნილი, როგორ შეიძლება, რომ ჰქონდეს საფუძველი, იზრუნოს სხვა ქვეყნიდან ადამიანების ჩამოსახლებაზე? აი, ამ თემაზე რა პასუხი გაქვთ თქვენ? დევნილები, ალბათ, გიყურებენ და შეიძლება გული წყდებათ, რომ მათზე შეიძლება არ იყოს მზრუნველობა ამ ეტაპისთვის ისეთი მასშტაბის როგორიც, ვთქვათ მათ სურთ რომ იყოს.”*
http://www.myvideo.ge/?video_id=2029379



გოგა ხაინდრავა: *“წმინდა წყლის ქართველები არიან... მაგათ აქვთ ერთადერთი, რაც აქვთ, რელიგია, ისლამის მიმდევრები არიან და ისიც ბედის უკუღმართობის გამო და არა მათი სურვილის გამო.”*

## სექსუალური უმცირესობები

<u>კვირის ქრონიკა, 3-12 მაისი</u>

თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელთან, გია ყრუაშვილითან ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ინტერვიუ ჰომოფობიური განცხადებებით არის გაჯერებული:

> გია ყრუაშვილი, თავისუფალი საქართველო: *„მე ვერ ვხედავ საქართველოში ამაყად მოსიარულე ქართველ კაცს, აქ ამაყად დადიან კესარიები, კესოები და სხვა „პედერასტები". ბიჭო, ისე აპიარებენ ამ პედერასტებს, ლამისაა, სქესი შევიცვალო, ამათი დედა მოვტ..ან! მე ამათი სიკვდილი და დახვრეტა კი არ მინდა? იყვნენ თავიანთთვის, რას მეჩიჩინებიან ყოველდღე ტელევიზიით? თბილისს ჰყავდა თავის დროზე კოლორიტები, სახელოვანი ადამიანები, ახლა ვინ არიან კოლორიტები? ნინა წკრიალაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, დეისაძე, ბიჭოლა და მათნაირები".*

<u>"ალია", 30 აპრილი</u>

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარესთან ზურაბ გაგნიძესთან ჟურნალისტ თამარ ოქრუაშვილის ინტერვიუ ასევე შეიცავს ჰომოფობიურ და დისკრიმინაციულ გამოხატვებს (*"ცისფერობაშია მხილებული"*) და მოარულ ხმებზე დაყრდნობით აღწერს ინციდენტს. ჟურნალისტი უკომენტაროდ ტოვებს რესპონდენტის ნათქვამს და თავის სარედაქციო პოზიციას სათაურში - *"რამდენიმე პედაგოგი, რომელიც "ცისფერობაშია" მხილებული, სტუდენტებმა გალახეს"* - გამოხატავს. ტერმინ "ცისფერის" გამოყენება შეურაცხმყოფელია სექსუალური უმცირესობების მიმართ.

> ზურაბ გაგნიძე: *"ამ სამი დღის წინ უნივერსიტეტის რამდენიმე პედაგოგი, რომელიც ცისფერობაშია მხილებული, სტუდენტებმა გალახეს. განა ერთი შემთხვევა იყო! "თავისუფლების ინსტიტუტის" ხალხი გამოვიდა და ამ ნაცემ ხალხს იცავდა, რომ კურტანიძის მაგვარი ქცევა არ შეიძლებაო. იმ ცისფერების გვარებს არ გეტყვით, უხერხულია. ისე, ეს უნივერსიტეტში ცნობილი ამბავია. თევზაძემ თადარიგი დაიჭირა და თავის კაბინეტში ისტორიის კაბინეტიდან, ამ ინციდენტის შემდეგ შეზიდა, რაც კი ხმლები, ნაჯახები და დანები იყო და სულ თავისთან აქვს ჩამოკიდებული".*

<u>ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი</u>

ჟურნალისტ ზაზა დავითაიას სტატია *"ანჟელიკა და მეფე"* როგორც ეთნიკური, ასევე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას შეიცავს. მასში საქართველოს პრეზიდენტი სააკოვად, ხოლო ორგანიზაცია "პატრიოტთა" ლიდერი გიორგი მაზმანიანი "ანჟელიკად" არის მოხსენიებული. მთელი სტატია, რომელიც ნაციონალური მოძრაობას და მის ლიდერს ეძღვნება, ჰომოფობიურია და პიროვნებისათვის დამამცირებელ, ღირსებისშემლახავ შეფასებებს შეიცავს.

> ზაზა დავითაია: *"სააკოვ-მაზმანიანის "ეროვნული მოძრაობა" არატრადიციული ორიენტაციით უფსკრულისაკენ მიემართება!"*
>
> *"ვაჟკაცების საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები დემონსტრაციებს აწყობენ, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების საფარქვეშ...*
>
> *"ანჟელაზე" კი ისეთი ხმები დადის პატიოსან კაცს გამეორება რომ შეგვრცხვება... ციხეში შესვლისთანავე მან ჩვეულებრივ საკანში კი არა, "საქათმეში" დაიდო ბინა, რადგან არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენელია... "ქათამიც" ადამიანია და უფლებები მასაც გააჩნია, მგრამ თავის დროზე მას ეს სახელი სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ საზოგადოება, მის ტრადიციებს განუდგა და არატრადიციული ორიენტაცია გამოავლინა.*
>
> *ნაციონალურ ანუ ეროვნულ მოძრაობას ემხრობა არატრადიციული ორიენტაციის გიორგი მაზმანიანი. არადა, აქამდე ასე იყო ცნობილი, რომ ეროვნული მოძრაობა ტრადიციებსა და კონსერვატიულ ღირებულებებს იცავდა.*
>
> *"ანჟელა" "ქათამია". სააკაშვილმაც 19 აპრილიდან "ქათმის" სახელი დაიმკვიდრა.*
>
> *"ანჟელამ" თავისი თანადგომით ბოლომდე გა-*

ბიულეტენი №4

ზაზა დავითაია, ჟურნალისტი: *"ვაჟკაცების საქართველოში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები დემონსტრაციებს აწყობენ, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების საფარქვეშ"...*

## სექსუალური უმცირესობები

*აკოტრა სააკაშვილი და ნიღაბი ჩამოხსნა მის რეჟიმს, რომელიც ჩვენს ქვეყანას არატრადიციული მიმართულებით მიაქანებდა... იმ ქვეყანაში სადაც" ანწყლა" პატრიოტთა რიგებში ითვლება, მისი გუბერნატორობაც შესაძლებელია".*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

გიორგი მაზმანიანის სექსუალური ორიენტაციის თემა დიკსრიმინიაციულ კონტექსტში პატიმარ გიორგი ბუზალაძის კომენტარშიც არის განხილული:

> გიორგი ბუზალაძე, პატიმარი: *"რამხელა სირცხვილია - ჰომოსექსუალი "ანწყლა" "ერისიონს" განიკითხავს!"*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

მწერალი კობა არაბული *ასავალ-დასავალის* ჟურნალისტთა მსგავსად ჰომოსექსუალური ურთიერთობის დამკვიდრებას, როგორც ერის თვითლიკვიდაციის გეგმას ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის ნაწილად პოლიტიკურ დისკურსში განიხილავს:

> კობა არაბული: *"ჩემთვის მიუღებელია ქვეყნის მტრებთან კოჰაბიტაცია. იმათ გვერდით არ დავდგები, ვინც ყველა უზედურებასთან ერთად, ერის თვითლიკვიდაციას გეგმავდა მამაკაცებს შორის სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის გზით."*

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი - 5 მაისი

გაზეთ *კვირის პალიტრაში* გასულ კვირას გამოქვეყნებული გრიგოლ გოგიჩაძის დისკრიმინაციული სიტყვების ციტირება ახდენს.

> გრიგოლ გოგიჩაძე, დეკანოზი: *"ბოლო დროს მამათმავლობა ყველა სფეროში დანერგეს. ნაციონალებმა ყველა ის სიბინძურე გაუკეთა ეკლესიას, რასაც კომუნისტები აკეთებდნენ, თანაც გაცილებით საძაგლად".*
>
> http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი - 5 მაისი

ჰომოფობიური მასალის ნიმუშად გამოდგება ჟურნალისტ თეა ასათაინის ინტერვიუ იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარესთან გოგი გოგოლაშვილთან, რომელიც სასკოლო განათლებას, კერძოდ კი სკოლებში იაკობ გოგებაშვილის "დედა ენის" სწავლებას შეეხება. ინტერვიუს შესავალში ჟურნალისტი აბსოლუტურად დაუსაბუთებლად ახდენს თემის დაკავშირებას სექსუალურ ორიენტაციასთან, სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკასთან სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში და იყენებს ისეთ შეურაცხმყოფელ ლექსიკას, როგორიცაა "პედერასტი", "არატრადიციული ორიენტაცია" და სხვა. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს შესავლის გარდა, სექსუალური უმცირესობების თემა არც ჟურნალისტის შეკითხვებში, არც რესპონდენტის პასუხებში ფიგურირებს.

> თეა ასათიანი: *"ძველი და ცნობილი ანეკდოტია... თუ შენ გაქვს სახლში აკვარიუმი... ბუნება გიყვარს, ბუნებაში ქეიფი და დალევაც უნდა გიყვარდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქალებიც გიყვარს და პედარასტი არა ხარ. მაშასადამე თუ სახლში აკვარიუმი არა გაქვს, ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ პედერასტი ხარ... ზუსტად ვერ გეტყვით, რატომ ჩაანაცვლა "აი ია" "აკვარიუმმა", თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს განათლების მთავარ კრიტერიუმად უნარ-ჩვევები ითვლება და იმასაც გავიხსენებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დახმარებით, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები პირდაპირ სკოლების წინ აწყობდნენ "გეი-ფართებს", შესაძლებელია გარკვეული ლოგიკური დასკვნა გამოვიტანოთ."*
>
> http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

### სექსისტური გამოხატვა

ასავალ-დასავალი, 29 აპრილი- 5 მაისი

ჟურნალისტ ზაზა დავითაიას სტატია სექსისტურ და ცილისმწამებლურ გამოხატვასაც შეიცავს:

> ზაზა დავითაია: *"მიშასთან ქალები წვებოდნენ და ცხოვრებას ამგვარად იწყობდნენ... ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ ზოგიერთმა ქალბატონმა დეპუტატის მანდატიც ამგვარად გაინაღდა."* http://www.asavali.ge/archive/2013/967/files/1-41pm5.pdf

ასავალ დასავალი

თეა ასათიანი: *"...თუ სახლში აკვარიუმი არა გაქვს, ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ პედერასტი ხარ...ზუსტად ვერ გეტყვით რატომ ჩაანაცვლა "აი ია" "აკვარიუმმა", თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დღეს განათლების მთავარ კრიტერიუმად უნარჩვევები ითვლება და იმასაც გავიხსენებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დახმარებით, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები პირდაპირ სკოლების წინ აწყობდნენ "გეი-ფართებს", შესაძლებელია გარკვეული ლოგიკური დასკვნა გამოვიტანოთ."*

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

## კვირის თემა

დასაწყისი გვ. 3

*ლი ადამიანების ინტიმური ურთიერთობა იყო ასახული, თუმცა მაშინ ამ ადამიანების სახეები დაფარული იყო. გუშინ საღამოს კი ინტერნეტში ფარულად გადაღებული ჯგუფური სექსის ამსახველი მასალა გავრცელდა, თანაც ყოველგვარი ცენზურის გარეშე.”*

თავისთავად აღნიშნული ტენდენციის ჩვენება საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. თუმცა, სიუჟეტის ავტორს შეეძლო, დაეფარა კონტრაქციის მონაწილის ის შემახილი, რომელიც პირადი ცხოვრების დამცველთა აქციის მონაწილეებს “პედერასტებად” მოიხსენიებს, როგორც ეს “კავკასიამ” და ნაწილობრივ მე-9 არხმა გააკეთეს.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029298

**მაესტრო და I არხი, 4 მაისი**
აღნიშნული თემა ნეიტარლურად გააშუქეს მაესტროსა და საზოგადოებრივი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, სადაც კადრები პირადი ცხოვრების ამსახველ მასალად არის მოხსენიებული და სიტყვიერი შეურაცხყოფის სინქრონი მინიმალიზებულია.
http://www.myvideo.ge/?video_id=2029331
http://www.myvideo.ge/?video_id=2029329

### აბორტის კრიმინალიზაცია
გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა აბორტის აკრძალვის შესახებ საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ინიციატივა იყო.

მართალია, აღნიშნულ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში გადმოცემული იყო სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენელთა, ასევე არასამთავრობო სექტორის პოზიცია, მაგრამ ვინაიდან ინიციატივა უმრავლესობის სასულიერო ლიდერს ეკუთვნოდა, სიუჟეტში სრულად არ ასახულა ამ თვალსაზრისით არსებული მოსაზრებათა პლურალიზმი: სახელდობრ, არ იყო გადმოცემული საქართველოში მოქმედ სხვადასხვა კონფესიათა დამოკიდებულება საკითხისადმი.

### სამოქალაქო სექტორი

არასამთავრობო ორგანიზაციებმა - საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, მედიის განვითარების ფონდი (MDF), ფონდი ALPE; ასევე სახალხო დამცველმა გაავრცელეს განცხადებები, სადაც სოციალურ ქსელებში ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელება სახიფათო ქმედებად შეაფასეს და მომხდარის დროული და ადეკვატური გამოძიება მოითხოვეს.
http://gdi.ge/?p=246
http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=15&lang=1&id=117
http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1701

**იმედი, 5 მაისი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2030544
**მაესტრო, 5 მაისი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2030679
**საზ. მაუწყებელი 6 მაისი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2030644
http://www.myvideo.ge/?video_id=2030642
**რუსთავი 2, 6 მაისი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2058516
**მე-9 არხი, 6 მაისი**
http://www.tv9.ge/?l=G&m=2&sm=17&sm=17&id=1791
**კავკასია, 6 მაისი**
http://www.myvideo.ge/?video_id=2058521